GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 26 Haziran / ივნისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon/ინფლაცია
3 716.9	4 763.5	5.1 %	11.6 %	6.5%

Başbakan'ın Basın Açıklaması
პრემიერის განცხადება

Başbakan, Hükümetler Arası Koordinasyon Konseyi toplantısında sağlık durumu, anayasa değişiklikler ve seçim süreci hakkında konuşma yaptı. Hükümet başkanına göre virüs önlemek için uygulanan kontrol devam edilmeli ve elde edilen sonuçlar korumalı. Gakharia açıkladığı gibi, dünyada vaka sayısı arttıkça ve korona virüs bulaşmış insan sayısı 9 milyonun üzerinde olunca ülke daha zor bir döneme giriyor.

Hükümet toplantısından önce, Başbakan arazi kaydın yeni aşamasının başlaması açıkladı. Yeni program 5 bölgeyi kapsayacak: Tetritskaro, Gardabani, Kareli, Gori ve Sagareco. Program aracılığıyla toplam olarak 111 000 hektar alan ıslah edilecek. Başbakana göre, bu proje için ayrı bir bütçe var ve vatandaşlar arazi kaydı için ücret ödemek zorunda kalmayacaklar.

Giorgi Gakharia, Maliye Bakanlığı'nın yeni bir düzenleme geliştirdiğini kaydetti. Yeni düzenlemeye göre ticaret sektöründe faaliyet gösteren firmalar, gıda ürünlerin doğal kayıplar üzerinde zayiat bildirimi yapabilecek.

Hükümet başkanı yaklaşan seçimlerden de bahsetti. Belirttiği gibi, salgın dönemindeki seçimler ülkeye ayrı bir tecrübe kazanacak. Giorgi Gakharia'ya göre, bu dönemde seçim sisteminin değişimi ülke için ileride atılan ayrı bir adımdır.

მიმდინარე კვირას პრემიერ-მინისტრმა უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოზე ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე, საკონსტიტუციო ცვლილებებსა და საარჩევნო პროცესზე ისაუბრა. მთავრობის მეთაურის თქმით, ვირუსის გავრცელების კონტროლის ის შედეგები, რომელიც ქვეყანას აქვს, უნდა შენარჩუნდეს. პრემიერის განმარტებით ქვეყანა რთულ პერიოდში შედის ვინაიდან მსოფლიოში, ციფრები იზრდება და კორონა ვირუსით ინფიცირებულ პირთა რაოდენობა უკვე 9 მილიონს აჭარბებს.

მთავრობის სხდომის დაწყებამდე პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მიწის სისტემური რეგისტრაციის ახალი ეტაპი დააანონსა. მისი განმარტებით ახალი პროგრამა 5 მუნიციპალიტეტს შეეხება: თეთრწყაროს, გარდაბანს, ქარელს, გორს და საგარეჯოს. პროგრამის საშუალებით ჯამში 111 ათასი ჰექტარი მიწა მოწესრიგდება. პრემიერის განმარტებით ამ პროექტისთვის არსებობს დაფინანსება, მოქალაქეებს მიწის რეგისტრაციისთვის ფინანსური ხარჯის გაწევა არ მოუწევთ.

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · EM Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

გიორგი გახარიამ ასევე აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს ახალი რეგულაციით ვაჭრობის სფეროში დაიწყება სასურსათო-საკვები პროდუქციის ბუნებრივი დანაკარგების ჩამოწერა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება მომავალ არჩევნებზეც გაამახვილა, როგორც მან აღნიშნა არჩევნები პანდემიის პირობებში ქვეყანას წარმატებული გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობას მისცემს. გიორგი გახარიას შეფასებით, საარჩევნო სისტემის ცვლილება ქვეყნისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

Hava Trafiğin Yenilenmesi Ertelendi
საჰაერო მიმოსვლის განახლება გადაიდო

Gürcistan hükümet temsilcilerine, Maliye Bakanı İvane Machavariani ve Ekonomi Bakanı Natia Turnava'ya göre, Gürcistan'a diğer ülke vatandaşların kabulü belirsiz bir süre ile, uluslararası hava trafiğine ilişkin kısıtlamalar ise 31 Temmuz 2020'ye kadar ertelendi. Bakanlara göre konu ile ilgili tartışmalar ve analiz günlük olarak devam ediyor. Her şey diğer ülkelerde ve tüm dünyadaki duruma ve devam eden süreçlere bağlıdır.

Sivil Havacılık Ajansı vatandaşlara geçici olarak uçak bilet satın almaktan kaçınmayı öneriyor.

საქართველოს მთავრობის, კერძოდ კი ფინანსთა მინისტრის ივანე მაჭავარიანის და ეკონომიკის მინისტრის ნათია თურნავას განმარტებებით, უცხოელი ტურისტების საქართველოში მიღების საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება და საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვა 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით გახანგრძლივდა. მინისტრების განმარტებით საკითხზე მსჯელობა და სიტუაციური დაკვირვება ყოველ დღიურ რეჟიმში მიმდინარეობს და ეს ყველაფერი მსოფლიოში არსებულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზეა დამოკიდებული.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მოქალაქეებს და მგზავრებს მოუწოდებს დროებით თავი შეიკავონ ამა თუ იმ მიმართულებით ბილეთების შეძენისაგან.

Dünya Ekonomik Büyüme Oranı Daha Düşecektir
მსოფლიო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები კიდევ უფრო შემცირდება

Uluslararası Para Fonu müdürü Kristalina Georgieva'ya göre küresel ekonomi büyüme %5 yavaşlandı. Korona virüs salgının devam etme durumunda, küresel ekonomik büyüme daha da yavaşlanacak ve tahmin edildikten çok daha düşük olacaktır.

Fonu'n Müdürü Kristalina Georgieva'ya göre, korona virüs tarafından en çok etkilenen ülkelerde ekonomi düşüşü daha büyük olur. Örneğin, İngiltere'de 2021 yılında ekonomi en az %10 azalacak. IMF temsilcilerine göre, ekonomik gerileme İtalya, İspanya ve Latin ülkelerde de olacaktır.

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბეღლავი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორი, კრისტალინა გეორგიევა განცხადებას ავრცელებს. მისი მტკიცებით, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა 5%-ით შემცირდა. კორონავირუსის პანდემიის გაგრძელების შემთხვევაში კი გლობალური ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო შემცირდება და მსოფლიოში ეკონომიკური ზრდა იმაზე ბევრად დაბალი იქნება, ვიდრე ამას აქამდე ვარაუდობდნენ.

სავალუტო ფონდში აცხადებენ, რომ ისეთ ქვეყნებში, რომლებიც კორონა ვირუსმა განსაკუთრებით დააზარალა, ვარდნა კიდევ უფრო დიდი იქნება. მაგალითისთვის, ბოლო მონაცემებით, გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკური ზრდა 2021 წლამდე სულ მცირე 10%-ით შემცირდება. გეორგიევას თქმით, ეკონომიკური დაღმასვლა საკმაოდ შესამჩნევი იქნება იტალიაში, ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

Gürcistan’da Petrol Arama Çalışmaları Planlanıyor
საქართველოში ნავთობის მოძიება-მოპოვების სამუშაოები იგეგმება

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Natia Turnava'ya göre, Avusturyalı petrol şirketi 22 Haziran 2020 tarihinde açık uluslararası ihalenin kazanması sonucunda Gürcistan'da petrol ve gaz arama ve çıkarma çalışmaları yapacak. Sözleşmenin imzalanması en yakın gelecekte planlamaktadır. Büyüklüğüne göre Avusturya’da ikinci sırada olan bu şirket, Avrupa’da ilk on şirket arasında yer almaktadır ve 2019 yılın sonunda şirket varlıkları 44,1 milyar avro olmuştur.

İhalede kazanan OMV PETROM S.A., sismik arama çalışmalarının uygulanmasından sonra petrol çıkartma çalışmalarını başlayacak. Karadeniz ülkeler arasında Gürcistan'ın petrol ve gaz araştırmalarının yapılmadığı tek ülke olduğu unutulmamalı.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას განცხადებით, 2020 წლის 22 ივნისს ავსტრიული ნავთობკომპანია OMV PETROM S.A ღია საერთაშორისო ტენდერში გამარჯვების შედეგად საქართველოში ნავთობისა და გაზის მოძიება - მოპოვების სამუშაოებს განახორციელებს. აღნიშნული კომპანია სიდიდით ავსტრიაში ნომერ მეორეა, ხოლო ევროპაში საუკეთესო ათეულში შედის. 2019 წელს კომპანიის აქტივებმა 44,1 მილიარდი ევრო შეადგინა.

ტენდერში გამარჯვებული OMV PETROM S.A სეისმური საძიებო სამუშაოების განხორციელების შემდეგ, ბურღვას შეუდგება. აღსანიშნავია, რომ საქართველო შავი ზღვის აუზის ქვეყნებიდან ერთადერთია, სადაც შელფურ ნაწილზე ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიება არ მიმდინარეობს. მთავრობასა და კომპანიას შორის ხელშეკრულების გაფორმება უახლოეს მომავალში იგეგმება.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Korona Virüs

კორონა ვირუსი

Son istatistik verilerine göre dünya çapında Korona Virüs vakalarının sayısı 9,7 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 9 714 951, vefat eden kişi sayısı – 491 868, iyileşen kişi sayısı – 5 250 218 . En çok vaka sayısı ABD, Brezilya, Rusya, Hindistan, Birleşik Krallık ve İspanya görülmüştür. Konu ile alakalı diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 9,7 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 9 714 951 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 491 868 პაციენტი, ხოლო გამოჯანმრთელდა 5 250 218 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული ამ ეტაპისთვის აშშ-ს, ბრაზილიას, რუსეთს, ინდოეთს, გაერთიანებულ სამეფოს და ესპანეთს ჰყავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი სტატისტიკა ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka ფაქტი	Ölüm გარდაცვალება	İyileşme გამოჯანმრთელება	Hasta პაციენტი
ABD/აშშ	2 504 676	126 785	1 052 389	1 325 502
Brezilya/ბრაზილია	1 233 147	55 054	673 729	504 364
Rusya/რუსეთი	613 994	8 605	375 164	230 225
Hindistan/ინდოეთი	491 170	15 308	285 671	190 191
Birleşik Krallık / დიდი ბრიტანეთი	307 980	43 230	N/A	N/A
Ispanya/ესპანეთი	294 566	28 330	N/A	N/A
Peru/პერუ	268 602	8 761	156 074	103 767
Şili/ჩილე	259 064	4 903	219 327	34 834
İtalya/იტალია	239 706	34 678	186 725	18 303
Türkiye/თურქეთი	193 115	5 046	165 706	22 363
Gürcistan / საქართველო	919	14	780	125
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	9 714 951	491 868	5 250 218	3 972 865

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (26.06.2020)

USD/GEL – 3.0551 TRY/GEL – 0.4461 EUR/GEL – 3.4266 GBP/GEL – 3.7963

GEL/USD

26 Haziran 2020

TRY/USD

26 Haziran 2020

TRY/GEL

26 Haziran 2020